საქართველოში საარჩევნო სისტემის სრულყოფის აქტუალური პრობლემები

ნიკოლოზ ფიფია
სამართლის დოქტორი
სტუ-ს ასისტ. პროფესორი

როგორც ვიცით მსოფლიოში მოქმედებს სხვადასხვა საარჩევნო სისტემები, რომელთაგან ორი არის ძირითადი მოდელი, კერძოდ: I ეს არის მაჟორიტარული და II – პროპორციული საარჩევნო სისტემა. აღნიშნული სისტემების წლების მანძილზე გამოყენების თუ მათზე დაკვირვების შედეგად მთელ რიგ სახელმწიფოებში მოხდა მათი ტრანსფორმაცია, დახვეწა ან გარკვეული თავისებურებებით გამდიდრება, რამაც შედეგად მოგვცა წარმომადგენელთა არჩევის განსხვავებული (არაკლასიკური) საშუალებები და მიდგომები.

საქართველოში დღეს მოქმედებს პარალელური საარჩევნო სისტმა (Parallel systems). ეს არის შერეული სისტემა, როდესაც ამომრჩეველი წარმომადგენლებს ირჩევს ორი განსხვავებული სისტემის მიხედვით: სიითი პროპორციული წარმომადგენლობის list PR და ჩვეულებრივ პლურალურ/მაჟორიტარული სისტემით.[1]

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარედ მიიჩნევენ იმას, რომ საპარლამენტო მანდატების უმრავლესობის ხელში თავმოყრა ძლიერი მთავრობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამავე დროს ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის კავშირი არის უშუალო. უარყოფითი მხარე კი არის ის, რომ ეს სისტემა ზუსტად ვერ ასახვს რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას. დამარცხებულ პარტიას, რომელსაც თეორიულად შესაძლოა მიეღო ხმების 50%-1 ხმა, არ ყავს წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში, რაც მათში პროტესტის და უკმაყოფილების გრძნობას იწვევს.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეა ის, რომ ეს სისტემა ადეკვატურად ასახავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და იგი ხელს უწყობს საკანონმდებლო ორგანოში ამომრჩეველთა გაცილებით მეტი რაოდენობის ინტერესების წარმოდგენას ვიდრე მაჟორიტარული სისტემა. უარყოფით მხარე არის ის, რომ თუ გამოიყენება დახურული პარტიული სიის მეთოდი, ამ შემთხვევაში პარტიის ბიუროკრატია თავად წყვეტს კანდიდატთა რიგითობას, რაც ხშირად შეიძლება გახდეს კორუფციული გარიგების საგანი. რაც შეეხება უარყოფით მხარედ მიჩნეულ პოლიტიკური პარტიების სიჭრელეს, უნდა ავღნიშნოთ, რომ ის პარტია რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს ნამდვილად იმახურებს პარლამენტში გარკვეულ მანდატებს. თუმცა საქართველოს საარჩევნო გამოცდილებიდან შეიძლება გავიხსენოთ ისიც, რომ 1992 წელს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყვნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც გადლახეს 1%-იანი ბარიერიაც. ეს კი ნამდვილად იყო პოლიტიკური „სიჭრელეც“ და „სიჭარბეც“ საკანონმდებლო ორგანოში. აღნიშნული ვაკხანალია სამიოდე წელი გაგრძელდა რის შემდეგ უკვე კონსტიტუციურად დადასტურდა პარლამენტის წევრთა პროპორციული სისტემით არჩევნებში სავალდებულო 5%-იანი ბარიერის გადალახვის აუცილებლობა.

სრულ წარმომადგენლობას გააჩნია უპირატესობა მაჟორიტარულ სისტემასთან შედარებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მაჟორიტარულ სისტემის მახინჯი პრინციპი გამარჯვებულს ყველაფერი, 49.9% პროცენტამდე ამომრჩეველს ტოვებს წარმომადგენლის გარეშე. ეს ნაკლი ჩანს მაჟორიტარული სისტემის აბსოლუტური უმრავლესობის მოდელის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ფარდობითი უმრავლესობის შემთხვევაში უკმაყოფილო ამომრჩეველთა პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება გაცილებით მეტი იყოს. რაც შეეხება კვალიფიციური უმრავლესობის მოდელს, აქ უკმაყოფილოთა პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალი იქნება, თუმცა იმის ალბათობა, რომ მეორე ტური ჩატარდეს გაცილებით დიდია, რაც დამატებით ხარჯებს და დროს მოითხოვს (რა თქმა უნდა მეორე ტურში კვალიფიციური უმრავლესობის მოდელი როგორც წესი აღარ გამოიყენება).

ჩვენი სიმპატიები იხრება პროპორციული საარჩევნო სისტემის მიმართ შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირველ რიგში ვითალისწინებთ საქართ-

[1] http://www.idea.int/esd/glossary.cfm

ველოში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარულ არჩევნებში თითქმის ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქი საეჭვოდ მუდამ იმარჯვებდა მმართველი პარტიის წარმომადგენელი. მაგალითად: ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ კანდიდატები იმარჯვებდნენ მაჟორიტარულ არჩვნებში მთელი საქართველოში, გარდა აჭარისა ავტონომიური რესპუბლიკისა, სადაც მის ყველა რაიონში იმარჯვებდა „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ წარმომადგენელი. მეტწილად ოპოზიციურ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლის ყოლის შანსი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩვნებში აქვთ (მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურმა საარჩევნო სუბიექტმა „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ნავსის გატეხვა და როგორც მაჟორიტარული ისე პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა, ეს ვერ გაამართლებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არსებობის აუცილებლობას. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ გამონაკლისად, რომელმაც საეჭვოა, რომ მომავალშიც გაამართლოს. აქვე დავსძენთ, რომ არა სერიოზული ხარვეზები, რომელიც ამ არჩევნებს თან სდევდა, განსაკუთრებით სამეგრელოში, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატების რიცხვი შესაძლოა საგრძნობლად დაბალი, ყოფილიყო. შესაბამისად უკვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, ნაციონალურმა მოძრაობა იმ შემთხვევაში თუ იგი იარსებებს, როგორც საარჩევნო სუბიექტი დიდი ალბთობით შემდეგომში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებს მანდატების მინიმალურ ოდენობას).

2. ზოგადად მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებისას ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩევლებში არის შემდეგი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ: ჩემი ხმა გადამწყვეტი არ არის და ვერაფერს შეცვლის. საქართველოს სინამდვილეში აღნიშნული დამოკიდებულება წარმოადგენს აბსენტიზმის უპირველეს მიზეზს და რომ არა „დროული“ ცვლილება საქართველოს კანონმდებლობაში შესაძლოა არჩევნები მთელ რიგ შემთხვევებში ვერც კი ჩატარებულიყო. საქმე იმაშია, რომ ადრე მოქმედ საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსში განსაზღვრული იყო ამომრჩეველთა ის მიმნიმალური ოდენობა, რაც ლეგიტიმურს ხდიდა არჩევნების შედეგებს; კერძოდ: აღნიშნული კოდექსის 105-ე მუხლის 4 პუნქტში საუბარი იყო, რომ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3 მაინც.[2] დღეს მოქმედი საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით კი ასეთი შეზღუდვა არ არსებობს და ამაზე კოდექსში მითითება საერთოდ არ არის; კერძოდ კოდექსის 125-ე მუხლის 3 პუნქტის მიხედვით მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა.[3] მაგალითისათვის, უფრო ნათელი რომ იყოს, საბურთალოს საარჩევნო ოლქში, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ოფიციალური მონაცემებით 2008 წლის 15 აპრილის მდგომარეობით 114 177 იყო[4], დღეს უკვე მნიშვნელობა არ აქვს არჩევნებზე ამომრჩეველთა სრული რაოდენობა გამოცხადდება თუ პირობითად 14 000. ახლა უკვე მთავარია რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა არჩენებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღოს, თანაც ეს უმრავლესობა სავალდებულო აღარ არის, რომ იყოს აბსოლუტური, არამედ საკმარისია 30 პროცენტის მხარდაჭერა თუ ეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას ქმნის. ანუ თუ საბურთალოს საარჩევნო ოლქში გამოცხადდა 14 000 ამომრჩეველი რომელთაგან 4 200-მა (30%) ხმა მისცა ერთ კანდიდატს, 3 500-მა (25%) მეორე კანდიდატს, 2 800-მა (20%) მესამე კანდიდატს, ხოლო დანარჩენი ხმა 3 500 (25%) მიიღო მეოთხე კანდიდატმა არჩეულად ჩაითვლება პირველი კანდიდატი. მართებულად აღნიშნავს პროფესორი ო. მელქაძე, რომ ასეთი მიდგომა აბსენტიზმს კი არ ებრძვის არამედ ემორჩილება.[5] ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო სუბიექტების შემდგომ ნორმალურ განვითარებაზე, რადგან ამგვარ პირობებში თვით პოლიტიკური პარტიები „თავის გადარჩენის“ მიზნით საერთო პლატფორმის არქონის მიუხედავად ერთიანდებიან ბლოკებში, რათა უკვე არჩევის შემთხვევაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ.*

3. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო

[2] საქართველოს საარჩევნო კოდექსი (ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო – „საქართველოს კანონთა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“) თბ. 2002 მუხლი 105.4.

[3] https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1557168

[4] http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=19&info_id=3152

[5] მელქაძე ოთარ; საარჩევნო სამართალი; თბ. 2005; გვ. 195.

არჩევნები ჩატარდება მხოლოდ პროპორციული სისტემით მეორე მანკიერ, არადემოკრატიულ რეალობასაც მოედება ბოლო, რაზეც უცხოელი ექსპერტებიც მიუთითებენ. კეძოდ საკითხი შეეხება ამომრჩეველთა რაოდენობას ოლქების მიხედვით. საარჩევნო პროცესის ორგანიზებულ და სამართლიან წარმართვაზე საუბრისას პროფესორი ოთარ მელქაძე მართებულად აღნიშნავს, რომ აქ პირველ რიგში არსებითია საარჩევნო ოლქების იმგვარი პარამეტრების განსაზღვრა, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული საარჩევნო სამართლის თანასწორობის პრინციპი.[6] აქაც პრობლემა თავს იჩენს მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას. მაგალითისათვის ცენტრალური საარჩევნო კომიისის 2008 წლის საპარლამონტო არჩევნებისას ამავე წლის 15 აპრილის მონაცემებით ქუთაისის საარჩევნო ოლქში ამომრჩევეთა რაოდენობა იყო 156 993, ხოლო ლენტეხში – 5 928.[7] ორივე საარჩევნო ოლქი ცალ-ცალკე დამოუკიდებელი მაჟორიტარით არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში. იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო უბანზე გამოცხადება იქნება 100%-იანი ქუთაისის მაჟორიტი დეპუტატობის კანდიდატს გამარჯვებისათვის დასჭირდება სულ ცოტა 78 497 ხმა, მაშინ, როცა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გამარჯვებისათვის სულ რაღაც 2 965 ხმაც ეყოფა, ანუ 26 ჯერ ნაკლები ვიდრე პირველ შემთხვევაში. ამით ყველაფერი ნათელია. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ყველაზე უკეთესი გამოსავალი ამ შემთხვევაშიც არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებაა. რაც შეეხება იმ საკითხებს რომელთა მოწესრიგებაც მაჟორიტარ დეპუტატებს ევალებათ ეს ფუნქცია დაევალება ცალკე შექმნილ კომიტეტს, სადაც პარიტეტულ დონეზე იქნებიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტის დეპუტატები წარმოდგენილნი, რომლებსაც რეგულარულად მოუწევთ გასვლითი შეხვედრები ამომრჩევლებთან ადგილზე – რაიონებში. სავალდებულოდ არ მიგვაჩნია, პარლამენტში არსებობდეს მაჟორიტარი დეპუტატები ბინადრობის მიხედვით და ვერც იმ პრინციპს დავეთანხმებით რომ ვინმე უკეთ შეძლებს თავისი ქალაქის თუ რაიონის წარმოჩენას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ოლქის მკვიდრია. საკმარისია გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) მოღვაწეობა, რომელიც 1894-1912 წლებში ფოთის ქალაქის თავი იყო და რომლის სახელსაც უკავშირდება ფოთის ნავსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელობა.

4. კიდევ ერთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებისას ეს არის ჯერიმანდერინგი. ჯერიმანდერინგი არის ოლქის საზღვრებით მანიპულაცია, შედეგად ერთ პარტიას შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ შეინარჩუნებს ხმების დიდ უმრავლესობას და სხვა პარტია კი ვერ შეძლებს მიიღოს წარმომადგენლობა. ზოგადად, ერთმანდატიან ოლქებში შესაძლებელია ამ არაეთიკურ საქციელის წაქეზება (ხელის შეწყობა). მაგრამ მრავალმანდატიან, ოლქებში ჯერიმანდერინგი თითქმის შეუძლებელია რადგან იმ შემთხვევაშიც თუ ოლქი ისეა მოწყობილი, რომ პარტია ხმების მხოლოდ 20%-ს იღებს, აღნიშნული პარტია მიიღებს ადგილებს 20%-ის შესაბამისად. სრული წარმომადგენლობის გამოყენებისას ოლქის საზღვრების შეცვლა არის აბსოლუტურად უწყინარი (უვნებელი) მოქმედება.[8]

5. პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოირჩევა ეკონომიურობითაც. კერძოდ ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში მოქმედებს სიითი მონაცვლეობის პრინციპი და გამორიცხულია დამატებითი არჩევნების ჩატარების საჭიროება.[9] ეს უკანასკნელი კი არის აუცილებელი მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობის დატოვების, გარდაცვალების და სხვა შემთხვევები, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ასეთი ფაქტები კი საქართველოში (და არა მარტო ჩვენთან) ყოველწლიურად ხდება, რაც ბუნებრივია და არ იწვევს დიდ წინააღმდეგობას. მაგალ-

[*] ზემოაღნიშნული პრობლემა პრეზიდენტის არჩევნების დროსაც ჩანს. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. არჩეულად ჩაითვლებოდა კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემდა არჩევნების მოაწილეთა ნახევარზე მეტი. დღეს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 70 მუხლის მე-4 პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. როგორც ვხედავთ არაფერია ნახსენები არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმუმის შესახებ. შესაბამისად დიდი ალბათობაა იმისა, რომ მივიღოთ არა უმრავლესობის არამედ უმცირესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რაც თავის მხრივ მაჟორიტარიზმის (უმრავლესობის) იდეას ეწინააღმდეგება. მიგვაჩნია ჩვენი კანონმდებლობა პროგრესის ნაცვლად რეგრესს განიცდის, რაც მოითხოვს მეტ ყურადღებასა და საკანონმდებლო ცვლილებებს.

[6] მელქაძე ოთარ; საარჩევნო სამართალი; თბ. 2005; გვ. 96.

[7] http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=19&info_id=3152

[8] Douglas J Amy; Full Representation; The USA 1997; p. 41

[9] მელქაძე ოთარ; საარჩევნო სამართალი; თბ. 2005; გვ. 80.

ითად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 3 გამარჯვებული მაჟორიტარი კანდიდატი ისე იქნა წარდგენილი მინისტრობის კანდიდატად, რომ მათ ერთი დღითაც არ შეუსრულებიათ მაჟორიტარი დეპუტატის ფუნქცია. შესაბამისად მანდატი თავისუფალია, და ამომრჩევლებს არ ყავთ მაჟორიტარი წარმომადგენელი პარლამენტში.

საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამერიკელი პროფესორი დუგალას ემი. პროფესორი ამბობს: ამერიკა ერთ დროს იყო პოლიტიკური ინოვაციების ლიდერი. რესპუბლიკის ადრეულ ეტაპზე ჩვენ ვიყავით ცნობილი, როგორც „დემოკრატიის ლაბორატორია“ ჩვენი სურვილის გამო, გამოგვეცადა ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტები როგორიცაა ფედერალიზმი, ასევე კონტროლის და ბალანსის სისტემა. მაგრამ დღეს, რამდენადაც ჩვენ ვაგრძელებთ ჩაბღაუჭებას მოძველებულ, გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი სისტმას, ჩვენ ვართ იმის საფრთხის ქვეშ, რომ გადავიქცეთ „დემოკრატიის მუზეუმად“.

პროფესორს აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების საშუალებად მიაჩნია სრული წარმომადგენლობითი სისტემის შემოღება, რომელსაც განმარტავს როგორც სისტემას, სადაც რეალიზებულია შემდეგი ფუნდამენტური პრინციპები: მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას აქვს უფლება გადაწყვეტილების მიღების, ყველას აქვს უფლება წარმომადგენლების ყოლის... იმის ნაცვლად, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებაში ერთი წევრი იყოს არჩეული თითოეულ ადგილობრივ საარჩევნო ოლქში, უფრო დიდი ოლქები ირჩევენ რამოდენიმე წევრს ერთდროულად. შესაბამისად 5 მანდატიან ოლქში უმცირესობა, რომელიც წარმოადგენს 40%-ს მოსახლეობის მიიღებს ორ ადგილს...[10]

ამდენად, მიგვაჩნია, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა იცავს საარჩევნო სუბიექტებს და იძლევა საშუალებას მოპოვებული ხმების პროპორციულად მიიღონ მანდატები საკანონმდებლო ორგანოში. ეს აძლევს პოლიტიკურ პარტიებს სტიმულს, რომ უფრო მეტი ხმა მოიპოვონ, მოახდინონ უფრო მეტი მობილიზება არჩევნების პროცესზე, პოლიტიკური სოციალიზაციის გზით უფრო მეტი ამომრჩეველი მოიმხრონ. აღნიშნულის საპირისპიროდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა საარჩევნო სუბიექტებს მეტად მძიმე პირობებში აყენებს. უმეტეს ნაწილს საარჩევნო პროცესების მიმართ უარყოფითად განაწყობს და ყოველივე ამან უბრალო დაპირისპირება შესაძლოა მკვეთრ ანტაგონიზმში გადაიყვანოს. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ არც პროპორციული სისტემა არ არის ბოლომდე იდეალური, დღეს არსებულ საარჩევნო სისტემებს შორის იგი ყველაზე უკეთ გამოხატავს ამომრჩევლის პოლიტიკურ ინტერესებს და შესაბამისად ხელს უწყობს არჩევნების შედარებით სამართლიან და მშვიდ ვითარებაში ჩატარებას.

პარტიებისათვის ადგილების განაწილების სხვადასხვა ფორმულა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ფორმულა არის „უდიდესი ნაშთის ფორმულა“. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ეს არის ქვოტის გამოთვლა, რომელიც მიიღება ოლქში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების გაყოფით ადგილების რაოდენობაზე. მაგალითად, თუ სულ 100 000 ხმა არის გადანაწილებული, ხოლო ადგილი 10 ქვოტა იქნება 10 000, 100 000/10=10 000. შემდეგ ქვოტა იყოფა ხმებზე, რომელსაც თითოეული პარტია ღებულობს და პარტია მიიღებს ერთ ადგილს თითოეული სრული რიცხვისთვის. მაგალითად, თუ პარტიამ მიიღო 38 000 ხმა, 38000/10000 = 3.8; პარტია მიიღებს 3 მანდატს – 8 000 ნაშთით. ამ პირველი გადანაწილების შემდეგ პარტიები უფრო დიდი ნაშთით მიიღებენ დარჩენილ ადგილებს.[11]

მაგალითად:

უდიდესი ნაშთის ფორმულა

პარტიები	ხმები	ხმების პირველი გადანაწილება	ხმების ნაშთი	ხმების მეორე გადანაწილება	საბოლოო ადგილების რაოდენობა	ხმების და ადგილების %
I	38 000	3	8 000	1	4	38% – 40%
II	23 000	2	3 000	0	2	23% – 20%
III	21 000	2	1 000	0	2	21% – 20%
IV	12 000	1	2 000	0	1	12% – 10%
V	6 000	0	6 000	1	1	6% – 10%

[10] Douglas J Amy, Full Representation, The USA 1997, p. 8-9.

[11] https://www.mtholyoke.edu/acad/polit/damy/BeginnningReading/howprwor.htm

უდიდესი ნაშთის ფორმულა

პარტიები	ხმები	ხმების პირველი გადანაწილება	ხმების ნაშთი	ხმების მეორე გადანაწილება	საბოლოო ადგილების რაოდენობა	ხმების და ადგილების %
№5	867 432	60	5156	1	61	38% – 40%
№10	43 805	3	0560	1	4	23% – 20%
№38	26 621	1	8571	1	2	21% – 20%
№41	1 181 862	82	4516	1	83	12% – 10%
სხვა	ქვოტა ვერ გადალახეს	0	0	0	0	0

თუ 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდებოდა მხოლოდ პროპორციული სისტემით სადაც, ცესკოს მონაცემებით აქტივობა 59% ანუ 2 150 197[12] იყო მაშინ ქვოტა იქნება 2 150 197 / 150 = 14 334. თუ მანდატების გადასანაწილებლად აღნიშნულ ფორმულას გამოვიყენებდით შემდეგ სურათს მივიღებდით*:

როგორც ვხედავ პირველი გადანაწილების შემდეგ სულ გადანაწილდა 146 მანდატი მეორე გადანაწილებით კი თითოეულმა პარტიამ დამატებით მიიღო თითო მანდატი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია საქართველოში წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების ჩატარება მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის შესაბამისად. მაგრამ აქ გასათვალისწინებელი იქნება ის გარემოება, რომ რეგიონებს უნდა ყავდეთ წარმომადგენლობა, ამდენად უფრო პოზიტიურად გვეჩვენება საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველო წარმოადგენდეს არა ერთ მთლიან, არამედ რამოდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქს, სადაც არჩეული დეპუტატები იქნებიან თავიანთი ოლქის წარმომადგენლები. სამართლიანი იქნება დათქმა, ოლქში მინიმალური მანდატების რაოდენობის შესახებ, რაც შეცვლის სურათს და ოლქებს შედარებით პარიტეტული წარმომადგენლობის საშუალებას მისცემს. ამასთან ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის ცვლილების შესაბამისად უნდა მოხდეს მან-

საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველო უნდა დაიყოს 11 საარჩევნო ოლქად

№	ოლქი	ამომრჩეველთა რაოდენობა (ათას.)*	ამომრჩეველთა რაოდენობა (%)	მანდატების რაოდენობა*
1	თბილისი	948 046	27.719597	27+1
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	352 900	10.318324	10
3	გურია	110 780	3.2390591	3
4	აჭარა	283 708	8.295243	8
5	რაჭა-ლეჩხუმი	38 337	1.1209226	1
6	იმერეთი	553 834	16.193366	16
7	სამცხე-ჯავახეთი	149 420	4.368841	4+1
8	შიდა ქართლი	226 303	6.6167972	6+1
9	მცხეთა-მთიანეთი	78 305	2. 2895335	2
10	ქვემო ქართლი	378 156	11.056776	11
11	კახეთი	300 340	8.7815402	8+1
ამომრჩეველთა რაოდენობა სულ: 3 420 129			მანდატების რაოდენობა სულ: 100	

** წყარო: cec.gov.ge. 2008 წლის მდგომარეობით*

[12] http://www.results.cec.gov.ge/index.html

* ეს კონკრეტული მაგალითი აქ მოყვანილია იმისათვის, რომ უფრო ადვილად აღქმადი იყოს ამ ფორმულის გამოყენება საქართველოს მაგალითზე და პირობითია, რამდენადაც ქვეყნის საარჩევნო ოლქებად დაყოფის შემდეგ ერთის მხრივ იცვლება მანდატების რაოდენობა და ამასთან არ არის ბარიერის დაწესების აუცილებლობაც.

* საილუსტრაციოდ აქ საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა მანდატების რაოდენობა განსაზღვრულია 100-ით, რაც იძლევა წარმოდგენილი სქემის შედარებით ადვილად აღქმის საშუალებას.

დატების რაოდენობის ცვლილებაც. კერძოდ:

(ამ ჩამონათვალს მიემატება მე-12 საარჩევნო ოლქი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახით, ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელებს შემდეგ).

იმისათვის, რომ სახელმწიფო შეფასდეს დემოკრატიულად, დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ორგანოების ფორმირების წესს; კერძოდ, თუ ყალიბდებიან ისინი არჩევნების გზით და როგორი სისტემით. ამ მხრივ საარჩევნო სისიტემასა და დემოკრატიას შორის კავშირზე კარგ განმარტებას იძლევა ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი (1883-1955), რომელიც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა ერთ პატარა ტექნიკურ დეტალზეა დამოკიდებული – ეს გახლავთ არჩევნების სისტემა. ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვანია. თუ არჩევნების ჩატარების წესი გონივრულადაა მოფიქრებული, თუ ის პოლიტიკურ რეალობას ესადაგება, მაშასადამე საქმე კარგადაა, თუ არადა ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თვით იმ შემთხვევაშიც კი დანარჩენი დემოკრატიული ინსტიტუტები უნაკლოდაც რომ ფუნქციონირებდნენ.[13]

ამდენად, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო სუბიექტების სამართლებრივი დაცვის კუთხით, მათ მიერ პოლიტიკური სოციალიზაციის სამართლის ჩარჩოებში განხორციელებისა და ზოგადად დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი გაძლიერება-განვითარებისათვის ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება სასარგებლო და აუცილებელია. მათ გაუთვალისწინებლად საარჩევნო პროცესი იქნება ფორმალობა, პოლიტიკური სოციალიზაცია უშედეგო, ხოლო მმართველობის რეჟიმი არადემოკრატიული და ბუტაფორიული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მელქაძე ოთარ; საარჩევნო სამართალი; თბ. 2005;
2. ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ.; 1993;
3. Douglas J Amy, Full Representation, The USA 1997
4. http://www.cec.gov.ge
5. https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1557168
6. http://www.idea.int/esd/glossary.cfm
7. https://www.mtholyoke.edu/acad/polit/damy/BeginnningReading/howprwor.htm

ACTUAL PROBLEMS OF IMPROVEMENT OF AN ELECTION SYSTEM IN GEORGIA

NIKOLOZ PIPIA
doctor of Law, assist prof of GTU

Electoral systems, using for many years and observing them have been resulted in many countries their transformation, enhancement or enrichment of certain peculiarities, which gave us different (non-classical) techniques and approaches to choose the representatives.

The positive and negative aspects characterizing for electoral systems have been discussed. Offers about different electoral systems have been made and we consider that proportional electoral system is more effective and shows interests of electors.

One of a cornerstone of the article is electoral system proper selection and its adjustment. In order to assess the state democratically, it has the great value of formation the political bodies rules; in particular, if they are formed by election way or which system. Proportional electoral system can increase interest of electors towards elections much more due to the fact that it gives possibility of proportional representation. Number of nihilist electors should be lesser and any debt against the results of election should be reduced that will be positively reflected to the image of the country. The electoral system that is realizable at election of representative body only, fully complies with the principles of democracy.

[13] ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ.; 1993, გვ. 174-175